თშაბათი, 10 თებერვალი 1905 წ.

წელიწადი 1877—1905 ოცდა-მეცხრე

ხუთშაბათი, 10 თებერვალი 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

№ 20 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 20

გაზეთის ფასი:

2 თვით	10 მ.	— კ.
1 „	9 „	50 „
0 „	8 „	75 „
9 „	8 „	— „
8 „	7 „	25 „
7 „	6 „	50 „
6 „	6 „	— „
5 „	5 „	50 „
4 „	4 „	75 „
3 „	3 „	50 „
2 „	2 „	75 „
1 „	1 „	50 „

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და ტიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვ ს 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

[illegible]

„ივერიის“ რედაქცია გადა-
იდა პუშკინის ქუჩაზედ, ტფ. საკრედიტო სა-
ოგადოების სახლში, მესამე სართულში, თამამშ-
ის ქარვასლის პირდაპირ, ნეიშელლერის სავა-
რო ფირმის გვერდით, ერევნის მოედნის მახლო-
ად,

ღიაა დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს
სათიდგან 8 საათამდე.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

გაზეთი „ივერია“

ანახლებულის რედაქციით ჯერ-ჯერობით ვერ
ამოდის. გაზეთი კიდევ რამდენისამე დღის გან-
ავლობაში ძველის რედაქციითა და წინანდელის ზომისა უნდა გამოვიდეს.

ახალი განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით.

„ივერია“

ცალკე ნომერი 3 კაპეიკი

წელიწადი ოცდა-მეცხრე

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც

განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებული იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტიური, ეკონომიური და ისტორიული წერილები, უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე **სურათები** და სხვა-და-სხვა **ილიუსტრაციები**.

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან.; ვინც ნახევარ წლით ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებსა და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія“

პირველი

ერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ჩიქოვანი.—9 საათიდგან 10 საათამდე ლისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანი- და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ. ქა- ს და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ი. მგელიშვილი—12—1 საათ. ყელისა ისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. თარხანოვი—1—1½ საათ, შინაგანის ბავშვებისა.

კ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინა- ა ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი ა. ე. შჩერბინინა—1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5—7 საათ.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი კ. მგელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

წლ.

ტფილისის სამარხ კასის

საზოგადო კრება

დანიშნულია სათავად-აზნაურო ქარვასლაში, მამულების სამმართველოს კანტორაში, № 153. შაბათს, თებერვლის 12, საღამოს 6 საათზედ,

განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა და დამატებისათვის. (3—1).

წარმოდგენა № 16 აბონემ. რიცხვში. ტელეფონი №63

სახაზინო თეატრი.

ხუთშაბათს, 10 თებერვალს 1905 წ.

ბენეფისი ტასო აბაშიძისა

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

პეპელათა ბრძოლა

კომედ. 4 მოქ., თხზ. ზუდერმანისა. თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე! ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მორიგე რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ტფილისის სახაზინო თეატრი

ანტრეპრიზა საიპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.

ხუთშაბათს, 10 თებერვალს, ქართულ დრამატიულ დასის-მიერ, ქ-ნ ტასო აბაშიძის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქნება

პეპელათა ბრძოლა,

დრამა 4 მოქმ. ზუდერმანისა, თარგ. ვ. შალიკაშვილისა. დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 11 თებერვალს, დედათა 1-ლ და მე-2 გიმნაზიების ღარიბ მოწაფე-ქალთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

„ვერტერი“,

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსენესი. ბილეთები იყიდება. გამგე ი. კელლერი.

ომის ამბები

სხვა-და-სხვა ამბები ბრძოლის ველიდგან. „ნოვ. ვრემ“-ს ბრძოლის ველიდან დეპეშით ატყობინებენ: „ჩინელი ვაჭრები ამბობენ, რომ იაპონელები პორტ-არტურში გაფაციცებით მუშაობენ და ჩაძირულ გემებსა, ზარბაზნებსა, მანქანებსა და ქვაბებს იღებენო. პორტ-არტურიდან 35 საალყე ზარბაზანი მოიტანეს და ლიაოიანის ფორტებზე დადგეს. ზარბაზნები 910-ა და 11 დიუიმიანებია. გენ. ნოგის ჯარის მოწინავე ნაწილი მარშალს ოიამას 15-20 იანვარს უნდა მისვლიყო, მაგრამ რადგან რუსებმა გაილაშქრეს და იაპონელთა მარცხენა ფრთეზე იერიში მიიტანეს, ამიტომ იაპონელებმა ყოველი ღონე იღონეს, ფეხს აუჩქარეს, გენერალს ოკუს დროზე მოეშველნენ და რუსები უკანვე განდევნეს. ხმა დადის, ვითომ ნოგის ჯარიდან ოთხი დივიზია მარშალს ოკუსა (მარცხენა ფრთეს) და მარშალს ნოძუს (შუბლს) მიაშველეს, სარეზრვო ბრიგადები კი გენერალს კუროკის გაუგზავნესო. ეს ჯარი სხვებზე უფრო გაწვრთნილი და გამოცდილია და ამიტომ გადასწყვიტეს, რომ ამ ჯარს რუსების მარცხენა ფრთეს (გენ. ლინევიჩის ჯარს) გვერდიდან უნდა მოუაროსო. თვითონ ნოგი ჯერ-ჯერობით იაპონიაშია და როცა დაბრუნდება, ამ ბრიგადების უფროსობას ჩაიბარებს. რუსები ამბობენ, იაპონელები ხამისხესა და ხაიდუჩანის უკანიდან უპირობენ მოვლასაო, ჩინელები დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ იაპონელები უკან დახევასა და ლიაოიანისაკენ წასვლას აპირებენო. ეს ხმა, უეჭველია, იაპონელებმა გაავრცელეს და ამით ჩვენი მოტყუება უნდათ. წინათაც, როცა იაპონელები იერიშის მოსატანად ემზადებოდნენ ხოლმე, ჩინელები ხმასავრცელებდნენ, არიქა, იაპონელები უკანვე მოდიანო; იაპონელები კი რამდენისამე დღის შემდეგ წინ მოდიოდნენ და პოზიციებს გვართმევდნენ. ეხლაც ასე იქნება: ერთის ან ორი კვირის შემდეგ იაპონელები რუსებზე უეჭველად იერიშს მიიტანენ.

ჩინელები იმასაც ამბობენ, რომ ამ ორ დღეში იაპონიიდან წამოვა ახლად შემდგარი გენერალ კამიმურას ლაშქარიო. უეჭველია, მუკდენსა და მანჯურიის სხვა ქალაქებში იაპონელებს ჩინელი აგენტები ჰყავთ. საკვირველია, რომ იაპონელებმა რუსეთის ჯარის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იციან. ზოგ ამბავს რუსეთის ჯარის შესახებ იაპონელები უფრო ადრე იგებენ ხოლმე, ვიდრე რუსეთის ჯარი. აი მაგალითიც: შანჰაის გაზეთ „ჯაპან ტაიმს“-ის 28 იანვრის ნომერში ეწერა, რომ გენერალი გრიპენბერგი ამ ორ დღეში პეტერბურგში უნდა წავიდესო. ამ დღეს ეს ამბავი იშვიათად თუ იცოდა ვინმემ; პეტერბურგში წასვლა საბოლოოდ გრიპენბერგსაც კი არა ჰქონდა გადაწყვეტილი.

იმავე გაზეთს ატყობინებენ: იაპონელები პუტილოვის გორაკს ზარბაზანს უშენდნენ. მიწურში რამდენიმე აფიცერი იჯდა და გაცხარებული ქაღალდს თამაშობდნენ. უცებ ერთი ყუმბარა მიწურის ბანს დაეცა, ბანი ჩაანგრია, მიწურში გასკდა და ზოგი დახოცა და ზოგიც მძიმედ დასჭრა. იაპონელების ყუმბარებში 6 დიუმიანი ყუმბარებიც ერია. ეხლა კი მართლა დამტკიცდა, რომ იაპონელებმა იანტაის სადგურიდან მდინარე შახემდის რკინის გზა გამოიყვანეს, საალყე ზარბაზნები მოიტანეს საჩქაროდ რკინის ჯავშანზედ დასდგეს და მომავალ ბრძოლისთვის მოემზადნენ.

რუსეთისა და იაპონიის ჯარის რაოდენობა მანჯურიაში. გიორგობისთვის გასულ იაპონელებს მანჯურიაში ჰყავდათ 138,000 ქვეითი ჯარის კაცი, 6,360 ცხენოსანი და 674 ზარბაზანი ჰქონდათ. გენერალს კუროკის ჰყვანდა 54,400 ქვეითა კაცი, 2,160 ცხენოსანი და ჰქონდა 276 ზარბაზანი; მარშალს ოკუს—48,000 ქვეითი, 1320 ცხენოსანი და 251 ზარბაზანი; მარშალს ნოძუს—35,000 ქვეითი, 1,080 ცხენოსნი და 120 ზარბაზანი. პორტ-არტურის აღების დროს კუროკის ჰყვანდა 65,000 კაცი, ოკუს—66,000, ნოძუს—45,000, სულ—176,000 კაცი. ამავე დროს გენერალ ნოგის პორტ-არტურთან ეყოლებოდა 50—60,000 კაცი. გენ. ნოგი მარშალს ოიამას მიაშველებდა, დაახლოვებით, 40,000 კაცს, ასე რომ, იანვრის გასულს მდინარე შახეზე მარშალს ოიამას ეყოლებოდა 215—220,000 კაცი.

რუსულ გაზეთების გამოანგარიშებით, იანვრის გასულს გენ. კუროპატკინს მდინარე შახეზე ჰყვანდა 400,000-ზე მეტი ჯარის კაცი, ანუ მარშალ ოიამაზე თითქმის ორჯელ მეტი. (ნ. ვ.).

რუსეთის მესამე ესკადრა. გუშინ დეპეშამ გვაცნობა, რომ შორეულ აღმოსავლეთს მიმავალმა ბალტიის მესამე ესკადრამ ლანგელანდის (ბალტიის ზღვაშია- სამხრეთით გაიარაო. ამ რაზმს უფროსობს კონტრ-ადმირალი ნებოგატოვი.

გენ. კუროპატკინი და გრიპენბერგი. „პეტიტ ჟურნალ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: რამდენისამე დღის წინად გენერალმა კუროპატკინმა პეტერბურგში თხოვნა გამოჰგზავნა. კუროპატკინი დაჟინებით თხოულობდა, სამსახურიდან დამითხოვეთ, ჯარის უფროსობა არ შემიძლიან, რადგან, ჯერ ერთი, ავად ვარ, მეორე—ჯარს სურსათი აკლია და ამიტომ ხელფეხი შებორკილი მაქვსო, და მესამეც—მე და გენერალი გრიპენბერგი ერთად ვერ მოვთავსდებითო. პეტერბურგიდან კუროპატკინს უპასუხეს, გენერალი გრიპენბერგი დავითხოვეთ და დამშვიდდითო, მაგრამ აქამდის ჯერ არ გამოირკვა, გრიპენბერგის დათხოვნით კუროპატკინი დაკმაყოფილდება თუ არა. (რ. ს.).

პეტერბურგში ხმა დადის, გენერალი გრიპენბერგი ისევ მანჯურიაში დაბრუნდებაო. (რ. ს.).

გენ. გრიპენბერგის მაგივრად მანჯურიის მეორე ლაშქრის უფროსი გენერალი კაულბარსი დანიშნეს, კაულბარსის ადგილას დაინიშნა გენერალი ბილდერლინგი. (ნ. ვ.).

იაპონიის ჯარის სარდლები. მთავარ სარდალი—მარშალი მარკიზი ოიამა; მთავარ შტაბის უფროსი—გენერალი ბარონ კოდამა; გენერალ-კვარტირმეისტერი—გენერალ-მაიორი ფუკუშიმა. 1-ლ ლაშქრის უფროსი—გენერალი კუროკი (მარჯვენა ფრთეზეა); იმის შტაბის უფროსი—გენ.-მაიორი ვუჯი; მე-2 ლაშქრის უფროსი—გენერალი ბარონ ოკუ (მარცხენა ფრთეზეა); იმის შტაბის უფროსი—გენერალ-მაიორი ოციაი; მე-3 ლაშქრის უფროსი—მარშალი გრაფი ნოძუ (შუბლის ჯარი); იმის შტაბის უფროსი—გენ.-მაიორი იძუძი; კორეის ჯარის უფროსი—გენერალი ბარონი ხასეგავა; იმის შტაბის უფროსი—გენერალ-მაიორი ოკიაი; უკანა გზების დამცველი—გენერალი ნისი. (ნ. ვ.).

იაპონიის ერის აზრი ომის შესახებ. «რუს. სლ»-ოს კორესპონდენტმა კრაევსკიმ ინგლისური სახელი დაირქვა, შარშან იაპონიაში იმოგზაურა და იაპონიის ყოფა-ცხოვრება ადგილობრივ შეისწავლა. «სანამ წავიდოდი,—სწერს კრაევსკი,—რუსულმა პრესამ ყურები გამომიჭედა, გამარჯვებული იაპონია გაკოტრდა და დღეს თუ ხვალ დამარცხებულ რუსეთს შეეხვეწება და ზავს მოსთხოვსო. რომელ იაპონელსაც კი ვკითხე:—მართალია, რომ ვითომ თქვენი ბანკები და სავაჭროები გაკოტრდა-მეთქი—ყველა გაკვირდა და გაოცდა. რის გაკოტრება, რის გაღარიბება! გაკოტრების შესახებ იაპონიაში ჯერ არაფერიც არ იციან და ყველამ ჩემი ნათქვამი ახალ ამბად მიიჩნია.

— რა აზრით ომობთ?—ვეკითხებოდი იაპონელებს.

— რუსეთი ციმბირისაკენ უნდა წავწიოთ და ერთხელ და სამუდამოდ ვასწავლოთ, რომ სხვის საქმეებში ჩარევა და ტაციობა კარგი არ არის,—მეუბნებოდა ყველა.

ყველა იაპონელი დარწმუნებულია, რომ ამომავალ მზის ქვეყანამ უკვე გაიმარჯვა, რომ შემდეგშიაც გაიმარჯვებს და სანამ რუსეთი ბიუროკრატიის მფარველობას არ მოიშორებს, იაპონიასთან ვერას გახდება.

— ვითომ რა შედეგი ექნება ამ ომს?—ვეკითხებოდი იაპონელებს. ყველა ამნაირ პასუხს მაძლევდა.

— კორეია იაპონიას უნდა დაემორჩილოს. მანჯურია ისევ ჩინეთს დაუბრუნდება, მაგრამ სხვა ერებთან შედარებით იქ უპირატესობა ჩვენ უნდა გვქონდეს. კვანტუნის ნახევარ-კუნძული და პორტ-არტური უეჭველად ჩვენ უნდა დაგვრჩეს, რადგან ეს ციხე ორჯელ მოვირწყეთ ჩვენის სისხლით და ეხლა აღარავის დავანებებთ. თუ რუსეთი კონტრიბუცია (ომის ხარჯს) არ გადაიხდის, სახალინს ავიღებთ და შევინარჩუნებთ კიდევაც.

სახალინი თავდაპირველად იაპონიას ეკუთვნოდა და თვით სიტყვა „სახალინ"-იც (იაპონურად ნიშნავს კლდეს) იაპონურია.

ყველა იაპონელს მშვენივრად ესმის ომის მიზეზი, აზრი და მისი მიზანი; დაწმუნებულია თავის სიმართლეში და ამიტომ ეხლანდელის ომით აღფრთოვანებულნი არიან. ეს ომი იაპონიისათვის საერთო, საერო ომია, რუსეთისათვის კი—ბიუროკრატიისაა.

ახალი ამბავი

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 10 თებერვალს, სახაზინო თეატრში ჩვენის ნიჭიერის მსახიობის **ქ-ნ ტასო აბაშიძის საბენეფისოდ** წარმოდგენილი იქნება ზუდერმანის 4 მოქმედებიანი პიესა „პეპელათა ბრძოლა", თარგმანი ვ. შალიკაშვილისა. იმედია, პატივცემული ქართველი საზოგადოება, რომელმაც ამ ბოლოს დროს ასე უცნაურად აუქცია მხარი ქართულ წარმოდგენებს, დღევანდელ წარმოდგენას მაინც დაესწრება, მით უფრო, რომ ეს პიესა ქართულს ენაზედ პირველად იდგმება და კარგი პიესაც არის. წარმოდგენაში მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსმა ინჟ. ივანოვსკიმ შემდეგი **ცირკულიარი** გაუგზავნა რკინის გზის სხვა-და-სხვა ნაწილთა და განყოფილებათა უფროსებს: „საჭიროდ მიმაჩნია და დროც არის განიხილოთ ჩემდამი რწმუნებულ რკინის გზაზედ მყოფ სამსახურის კაცთა მუშაობისა და ყოფა-მდგომარეობის შესახებ შემდეგი საგნები: 1) შემოღებულ იქმნას ერთგვარი წესი საღამოთი მუშაობისა რკინის გზის გამგეობის სხვა-და-სხვა განყოფილებებსა და ნაწილებში; 2) განისაზღვროს სასტიკად საღამოს მუშაობის დრო და არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს; 3) ამ მუშაობისათვის უთუოდ მიეცეთ ქირა ყველა მოსამსახურეს, რომელთაც წელიწადში 900 მანეთი და ნაკლები ჯამაგირი აქვთ და წლიურ ჯამაგირის კვალობაზედ გაუნაწილდეთ %% ზედ-მეტ შრომის ფასად; 4) ყოველ წელს დასასვენებლად დათხოვნილ იქმნან რკინის გზის მოსამსახურენი ცოტა ხნით და ყველას ჰქონდეს უფლება შესასვენებლად წასვლისა; 5) გზის მსახურის მიერ დისციპლინის დარღვევის შესახებ წინასწარ გამართულს მსჯელობაში მონაწილეობა მიიღოს ამორჩეულმა მოსამსახურეებმა რკინის გზისამ, რაც უთუოდ საჭიროა სამსახურის უფროსისათვის სახელმძღვანელოდ განაჩენის დადგენის დროს; 6) ზამთარ-ზაფხულში რკინის გზის გამგეობასა და მისს განყოფილებებში რამდენ ხანს უნდა იმეცადინონ რკინის გზის მსახურთ; 7) მოსამსახურენი ზაფხულობით კვირაში ერთხელ რიგ-რიგად გაანთავისუფლონ შესასვენებლად; 8) განსაკუთრებით საჩქარო სამუშაოთა მოსასწრებლად მოსამსახურენი მოწვეულ იქმნან ჩვეულებრივ და კვირა-უქმე დღეებშიაც განსაკუთრებულის ფასით; ყველა ამ საგნებზედ გთხოვთ გამოსთქვათ და წარმომიდგინოთ თქვენი აზრი, რომელიც საგანგებო სხდომის ჟურნალში უნდა იქმნას ჩაწერილი; საგანგებო კრებაზედ უნდა მიიწვიოთ თქვენის ამორჩევით თქვენივე დაახლოვებულნი თანამშრომელნი და უფროსი მოსამსახურენი; გთხოვთ ამის შესახებ ჟურნალი წარმომიდგინოთ არა უგვიანეს 20 თებერვლისა".

⁂ როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, ქალაქის გასანათებელ ფარნების მეთვალყურემ ლალაიანცმა რაპორტი წარუდგინა ქალაქის მოურავს იმის შესახებ, რომ ქალაქის მუშა-მეფარნეებს **უმოწყალოდ** სცემეს თავხედმა პოლიციელებმა და უბნის ზედამხედველებმაო. ტფ. პოლიცმეისტერმა ამის თაობაზედ გამოძიება მოახდინა ბ-ნ ლალაიანცთან ერთად და აღმოჩნდა, რომ „პოლიციელნი ცამდის მართალნი ყოფილან", რომ მათ არავისთვის არ უცემიათ, მხოლოდ ზოგიერთებს დაჰმუქრებიან ცემას. რაღაც საკვირველ მანქანებით, ბ-ნმა ლალაიანცმა გამოძიების აქტზედ შემდეგი სტრიქონები წააწერ: «ყველა ზემოთქმულიდგან (მოყვანილია ვრცლად გამოძიების აქტი პოლიციელთა სასარგებლოდ) და ჩვენგან მოხდენილი გამოძიებიდგან მტკიცდება, რომ პოლიციელთაგან ქალაქის მეფარნეთა ცემის შესახებ აღძრული საგანი შეიძლება ჩაითვალოს უბრალო გაუგებრობის (недоразумѣніе) შედეგად". ტფილისის პოლიცმეისტერმა გამოძიების შედეგი აცნობა ტფ. ქალაქის მოურავსა და ტფ. გუბერნატორს.

⁂ **საზოგადოების საყურადღებოდ.** ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი კომისია გვთხოვს შემდეგი დავბეჭდოთ: ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეთა მომეტებული ნაწილი ღარიბია. ბევრს მათგანს არა აქვს ტანთ-საცმელი, ფეხსაცმელი და ხშირად საჭმელიც კი. სკოლასთან არსებულმა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელმა კომისიამ წელს 230 ბავშვს თბილი ტანისამოსი შეუკერა და ღვინობისთვეში გამართა სკოლის სადგომში სასადილო, სადაც 70 ღარიბს მოწაფეთ ეძლევათ უფასოდ ერთი თავი საჭმელი. სამწუხაროდ, გაჭირვებულთა რიცხვი 70-ზედ გაცილებით მეტია, კომისიას კი შეძლება არა აქვს ყველას მიაწვდინოს ლუკმა-პური. ამიტომ კომისია უმორჩილესად სთხოვს გულ-შემატკივართ, დაეხმარნენ ამ კეთილ საქმეში ფულით ან ხორაგეულობით.

შემოწირულება მიიღება კომისიის თავმჯდომარესთან, კნ. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურიან-ორბელიანთან (ნიკოლოოზის ქუჩა, საკ. სახლი) და სკოლის სადგომში (პეტრე დიდის ქუჩა) სკოლის გამგესთან, აგრეთვე ტფილისის, გორის, თელავის, სიღნაღის, დუშეთის და ბორჩალოს მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებთან.

⁂ კავკასიის უმაღლესი **ადმინისტრაცია გურიაში ჰგზავნის საგანგებო მოხელეს**, რომელიც კარგად იცნობს თურმე ჩვენის ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას. ამ მოხელემ ადგილობრივ უნდა გამოიკვლიოს გურულთა ეკონომიური მდგომარეობა და მათის უკმაყოფილების მიზეზები, ხოლო შემდეგ ამისა უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

⁂ დღეს, 10 თებერვალს, კრება ექნება ტფ. ქალაქის საბჭოს. კრებამ უნდა აირჩიოს წევრნი იმ კომისიისა, რომელმაც უნდა გაუნაწილოს 2,000 მ. საბჭოს მიერ გადადებული, 23 იანვარს ტფილისში **მომხდარ დემონსტრაციებზედ დაშავებულ** მუშებს. აგრეთვე ამავე კომისიამ უნდა გამოიძიოს არეულობის საქმე.

⁂ გაზ. „კავკაზ."-ში შემდეგი **ოფიციალური ცნობაა დაბეჭდილი**: „12 იანვარს ბაქოში, როდესაც ტუსაღმა ბალაალა-მეშედი-მამედ-რიზა-ოღლიმ, რომელსაც მკვლელობა ჰბრალდებოდა და რომელიც გამომძიებლიდან ბრუნდებოდა, მოიწადინა გაქცევა. ტუსაღს თან ახლდნენ სალიანის მე-262 პოლკის სალდათები ნიკოლოოზ არუთინიანცი და კარაპეტ ბაბახანოვი. როდესაც ზემოხსენებული ტუსაღი გაიქცა, სალდათები გამოუდგნენ და უსროლელად რამდენსამე ადგილას დასჭრეს, რის გამოც ტუსაღი გზაში მოჰკვდა. ამის შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ხმა გავარდა, ძალად მოჰკლეს ტუსაღიო. ბაბა-ალას ძმამ ქერბალაი-ფარუხმა ფორმალური თხოვნა გადასცა ბაქოს გუბერნატორს; ამის გამო ამ ჟამად გამოძიებაც სწარმოებს. მაგრამ ვიდრე საქმის ნამდვილი ვითარება გამოირკვეოდა, 6 თებერვალ მომხდარ ამბის გამო ქ. ბაქოში, მოედანზე, ორ ადგილობრივ მცხოვრებს შორის მოჰხდა შეტაკება, რომლის დროსაც ერთი მძიმედ დაიჭრა. ამან მცხოვრებთა შორის მოძრაობა გამოიწვია, რასაც ძალ-მომრეობა მოჰყვა. სულ მოკლულ და დაჭრილ იქმნა 35 კაცი. 7 თებერვალს საქმე გამწვავდა და შეიარაღებული თავდასხმა განაგრძეს. წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენად ბაქოში მოღებულ იქნა საჭირო ღონისძიებანი".

⁂ 3 თებერვალს ქ. ოზურგეთში უნდა წასულიყო **ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია**, მაგრამ სხვა დროისთვის გადასდეს. ამბობენ, ადმინისტრაციამ შეატყობინა სასამართლოს, რომ სესსიის მისვლა ქალ. ოზურგეთში საშიშიაო. (ნ. ო.)

⁂ 1 თებერვალს ქიათურაში **მოჰკლეს** შავის ქვის წვრილი მრეწველი ნ. ჩხეიძე, რომელიც შარშან მოწმედ იყო დაბარებული მთავრობის მხრივ ქიათურაში მომხდარ არეულობის საქმის შესახებ.

⁂ 3 თებერვალს ლანჩხუთის პოლიციის ბოქაულის კვაშალის სახლს 37-ჯერ **ესროლეს ბერდანის თოფი**, მაგრამ არავინ არც მოუკლავთ და არც დაუჭრიათ. ხმა დადის, ოზურგეთის მაზრის მთელი პოლიცია სამსახურიდგან გადადგომას აპირებსო. სუფსის ნაწილის ბოქაული ქავთარაძე უკვე გადამდგარა სამსახურიდგან. (ნ. ო.).

⁂ გურია-სამეგრელოს სამწყსოს მოსავლელად, როგორც გვქონდა მოხსენებული, იგზავნება ალავერდის ეპისკოპოსი ექვთიმე, ხოლო **ალავერდის ეპისკოპოსად**, როგორც «ც. ფ.-ს» ატყობინებენ, ინიშნება ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის წევრი არქიმანდრიტი გიორგი (ალადაშვილი).

⁂ ქუთაისიდგან „ნოვ. ობ."-ს ატყობინებენ, რომ ამ დღეებში იქ **დაუპატიმრებიათ** ქუთაისის საურთიერთო ნდობის კრედიტის საზოგადოების **კასსირი ს. კილაძე**... მისს მაგივრად დროებით კასირად დაუნიშნავთ ბუჰლალტრის თანაშემწე ბექაია, მაგრამ მას უარი განუცხადებია ამის გამო კასირის თანამდებობის ასრულება მიენდო ბუჰლალტერს ბ-ნ პურადოვს.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი აცხადებს, რომ სოფ. ახალ-ქალაქის **ვენახებს ფილოქსერა გაუჩნდაო.**

⁂ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ ანგარიში კავკავის ქართულ სკოლის სასარგებლოდ 26 დეკემბერს გამართულ ქართულ საღამოს შემოსავალ-გასავლისა. შემოსავალი: შემოვიდა ბილეთების გაყიდვისაგან ლოჟებიანად 720 მან. 60 კ. ბაზრიდგან 164 მ. 61 კ. ბუფეტისაგან 318 მ. 88 კ. ჩაი და ტანისამოსის შესანახიდან 274 მ. 36 კ. ფულად შემოწირულება 217 მან. სულ 1695 მ. 45 კ. გასავალი: დარბაზის შეკეთებაში დაიხარჯა 257 მ. 36 კ. ბუფეტის მოსაწყობი 134 მ. 57 კ. მუსიკას 58 მ. სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი 136 მ. 93 კ. სულ ხარჯი: 586 მ. 86 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი—1,108 მან. 59 კ.

ფულად შემოსწირეს ონის. ლაზ. შავგულიძემ—25 მან.; გრ. ლ. ქორქაშვილმა და მარიამულმა ოც-ოცი მანეთი; გრ. მიხ. ბურდულმა—15 მან. ს. მ. კირაკოზოვმა, ბ. გ. ოგანოვმა, თერგის ოლქის ყაზახთა ჯარის მუსიკის დამკვრელთაგან, ვ. ს. ნიტაბურმა და გრ. ი. ჩითაევმა—ათ-ათი მანეთი; მ. ნაურუზოვმა—6 მან. ნ. გ. გასუმიანცმა, ქ. ა. ანდრეევმა, ი. ვ. მოზდოკლიშვილმა, გრ. ვას. მოზდოკლიშვილმა, მ. ს. არტემოვმა, გ. ვ. ბაევმა, თავ. ან. მ. ქოჩაქიძემ, გ. ბ. ზელცერმა და ე. ზახაროვმა—ხუთ-ხუთი მანეთი, დაუდ-ხანმა, პ. ი. პოპოვმა, პ. ე. მიტნიკმა, ლ. პ. მალვოედოვმა, ი. ა. თათუზოვმა, გრ. დ. სიმონოვმა, ნ. ი. ტერ-აბრამოვმა, გ. დ. ჩეხოვსკიმ, სტ. ი. პისარევმა, ე. მ. სერგეევმა, კ. ზ. ტულატოვმა ა. გ. თათუზოვმა, პ. ა. სიდომონოვმა, დ. შ. შანაევმა და ი. ი. ტეტრეროვმა—სამ-სამი მანეთი, გ. გ. კოვტუნოვმა—1 მანეთი.

ბაზრისათვის ნივთები შემოსწირეს: ალ. გულბათაშვილმა—5 მანეთისა, მ. ფეიქაროვმა—1 მან. წყ. ამირანოვმა—1 მან. ივ. მესხიევმა—2 მან. კ. ოთარაშვილმა—3 მან. თ. წიკლაურმა—7 მ. 50 კ. წყ. მამულოვმა—2 მან. ვ. ღამბაროვმა—3 მან. ალ. ავანესოვმა—5 მ. გრ. სიმონოვმა—4 მ. ს. ოთაროვმა—1 მან. ე. ქუმსიევმა—1 მან. ზ. ფიცხელაურმა—2 მან. ზ. ოთურგოვმა—1 მ. დ. შარმადინოვმა—1 მან. 50 კ. მ. ღარიბაშვილმა—1 მან. ს. როსტიაშვილმა—1 მან. გ. თურმანიძემ—1 მან. ა. ხუმაროვმა—1 მან. 25 კ. კ. სიმონოვმა—1 მან. ა. გოზალოვმა—60 კ. ი. ხუმაროვმა და ი. ხეთაგუროვმა—2 მან. ნ. თაბორიძემ—1 მან. 20 კ. ივ. მრევლიშვილმა—1 მ. 20 კ. ძმ. ტერ-ასატუროვებმა—2 მან. ვ. ზალინოვმა—2 მან. ი. პოპოვმა—40 კ. გ. ნოღაევმა—60 კ. გ. პეტროსოვმა—4 მან. გ. ახვერდოვმა—50 კ. დ. ისმაილოვმა—1 მან. 20 კ. ივ. გრიგოროვმა—70 კ. ხაჩატუროვმა—40 კ. ძმ. აბულოვებმა—2 მან. ა. აბაევმა—1 მან. ალაჯევმა—40 კ. ამხახაგობამ—შადურმა—1 მ. 20 კაპ. ე. ჩობიკაშვილმა—2 მან. კ. ზაკაშვილმა—1 მან. პ. ბეღოიძემ—1 მან. ბ. სომხიევმა—1 მან. კ. ალაჯანიანმა—1 მან. 20 კ. კ. წიკლაურმა—50 კ. მ. გრიგორაშვილმა—1 მან. 50 კ. გ. ყასაბიევმა—70 კ. მ. ამირანოვმა—1 მ. 50 კ. დ. ჩუბინიძემ—1 მ. 50 კ. ი. სიმონოვმა—50 კ. ა. სიმონოვმა 30 კ. მ. აბასოვმა—3 მან. ასანოვმა—1 მან. ხ. შარმაზანიშვილმა—3 მან. 50 კ. მ. ალდაროვმა—2 მ. 50 კ. ა. ტუაევმა—4 მ. ლ. წივილაშვილმა—1 მან. 20 კ. თ. გიორგობიანმა—60 კ. სულ 95 მ. 15 კ.—ბუფეტისათვის სასმელები შემოსწირეს: ძმ. ჩითაიშვილებმა—2 ვედრო ღვინო, ივ. მარკოზოვმა ნახევარი ვედრო, ა. კირაკოზოვმა $1\frac{1}{2}$ ვედრო, ბ. კირაკოზოვმა—$\frac{1}{2}$ ვედრო, ა. დანილოვმა 1 ვედრო, პ. პაპუნოვმა—1 ვედრო ხ. გარდიევმა—1 ვედრო, ზ. მესხიევმა—1 ვედრო, ირ. უშვერიძემ—1 ვედრო, ნინო მარკოზიშვილისამ—ნახევარი ვედრო, თომა ანდრონიკაშვილმა—1 ვედრო, კ. იარალოვმა—ნახევარი ვედრო, ა. ვარტაზაროვმა—ნახევარი ვედრო, მ. ყარაბიოვმა—1 ვედრო, გ. ათაბეგოვმა—ნახევარი ვედრო, ი. თათუზოვმა—ნახევარი ვედრო, თემურაზოვმა—1 ვედრო, გ. თათუზოვმა—ნახევარი ვედრო, ნადიბაიძემ—ნახევარი ვედრო, გეურქოვმა—1 ვედრო. ს. სახიევმა—1 ვედრო, ნ. ტერ-არუთინოვმა—1 ვედრო, ზ. კოკნაძემ—2 ვედრო, სულ 20 ვედრო.

სანოვაგე შემოსწირეს: ალ. ოქროპირიძემ—2 მან. 50 კაპეიკისა, ბაშაკინმა—50 კ. მეშჩერიაკოვმა—3 მ 20 კ. გაბ. მოძმანიშვილმა—2 მან. ის. ელერდაშვილმა—2 მან. გაბრ ელერდაშვილმა—2 მან. 50 კ. ს. მაჩაბელმა—1 მ. 30 კ. ოქროპირიძემ—1 მ. 20 კ. ბერუაშვილმა—1 მ. დ. ელერდოვმა—1 მ. 40 კ. ელერდოვმა—1 მან. კუტ... 50 კ. ტატო ელერდოვმა—2 მან. ბაშაროვმა—1 მ. კარაჩკოვმა—1 მ. მამაჯანოვმა—2 მან. ვიგლოვმა—2 მ. ს. არაქელოვმა—1 მან. კიშ... 50 კ. ბაშიროვმა—1 მან. პ. ფრიდონაშვილმა—2 მან. სულ—32 მ. 60 კ.; შ. მაჩაბელმა—15 გირ. პური, კ. გოგობერიშვილმა—18 გირ. მ. კერესელიძემ—10 გირ. ნ. გოგობერიძემ—18 გირ. კ. გიორგობიანმა—18 გირ. ს. კობერიძემ—18 გირ. ს. ლებანიძემ—20 გირ. ა. გიორგობიანმა—10 გირ. ვ. არჩვაძემ—10 გირ. ა. გოგობერიშვილმა—18 გირ. ნ. და ს. გიორგობიანმა—20 გირ. გრ. რაზმაძემ—10 გირ. გ. რეწვიაშვილმა—15 გირ. კ. ბედელაძემ—10 გირ. გ. მელაშვილმა—18 გირ. ს. მელაშვილმა—12 გირ. სულ 240 გირვანქა.

პირადის შრომით დახმარება აღმოუჩინეს საღამოს გამართვაში—ს. დ. კალანდარიშვილისამ, ნ. ნ. კნეინა ლორთქიფანიძემ, სოფ. იოს. სარაჯიშვილისამ, ელ. დ. მოზდოკლიშვილისამ, ე. კ. მოზდოკლიშვილისამ, ქ-მა ავაქოვისამ, მელ. სოფ. კუხიანიძემ, ალ. გულბათიშვილმა, დ. ჩუბინიძემ, ივ. დ. მაისურაძემ—ივ. საბ. ილურიძემ, კოტე ოთარიშვილმა, ვასო ზირაქოვმა და სხვ.

ყველას, ვინც კი მონაწილეობა მიიღო საღამოს წარმატების საქმეში ფულისა, სანოვაგისა, სასმელებისა, ნივთების შემოწირულებითა ანუ პირადის შრომით, კავკავის სკოლის სამზრუნველო უცხადებს გულითადს მადლობას.

საქართველო

პანკისის ხეობა (თიანეთის მაზრა). განა ტყუილად იტყვიან ხოლმე ხან-მოჭმულნი სოფლის დარბაისელნი: ნაკიანი წელიწადი კარგს არას მოიტანსო, ან ხალხის ჯანმრთელობისა, ან მოსავლისა, ან ამინდის მხრივ და სხვა. ეს თითქოს მართლაც ასეა. შარშანდელმა გაზაფხულმა თავი მოგვაბეზრა გამუდმებულ ერთბაშ ჟუჟუნა წვიმებით და ბოლოს შარშანვე, 5 აპრილს, ცხრა გოჯი თოვლიც ჩამოგვიყარა; ამან ხალხი ისე შეაშინა და დააწიოკა, რომ აღარ იცოდა რა ექნა და რა მოეხერხებინა ან თავის თავისსა და ან შინაურ საქონლისთვის. ყოველს ღონისძიებას მოკლებულნი მცხოვრებნი ეცნენ ტყესა და დაუწყეს საქონლისათვის ხის კენწერს კაფვა; ტყის მცველებსაც გაუჩნდათ საქმე, მოისვეს ხელი ტყავის ჩანთაზედ და დაიწყეს წერა ოქმებისა; მტყუანი და მართალი სულ ერთმანეთს მიაყოლეს. ხალხის ბედზედ იმდენი ოქმები მანიფესტმა გააუქმა, თორემ, თქვენი მტერი, ბევრს გლეხს მზად გაკვებილი ძროხა სახაზინო ვალში გაეყიდებოდა. გაზაფხულის ნოტიომ აახალავა ყანები და შიგ მოჰრივა ათასნაირი ბალახ-ბულახი, რომლის გამოისობით ხორბალი ჩვენს ხეობაზედ ნაკლებად და უვარგისიც მოვიდა. დადგა ზაფხული და დაჰყვა გვალვა და სიხმელე; ამაზედ ხალხმა მაშინვე იწინასწარმეტყველა—დიდ ავდარს დიდი დარი მოსდევსო. გაზაფხულზედ ნაწვიმი ნახნავები თითქმის ქვად აქცივა; თოხნაში გოროხებს თოხის ყუით ძლივას ამტვრევდნენ; გოროხებს შუა გათანგული აღვივებული სიმინდის მარცვალი უბრალო ბალახის წვერივით გაწლიოკებული ამოსჩანდა; პირველმავე ყლორტმა ყვითელი მხრები ამოიყოლა, ასე რომ, როგორცა ვსთქვი ადრევაც, წლის მოსავალს სიმინდმაც უღალატა სანახევროდ უფრო მეტად. დადგა შემოდგომა; ენკენისთვის ნახევრიდამ დაიწყო ისევ ნოტიო და წვიმები; გიორგობისთვის გასვლამდე ლურჯი ცა აღარ დაგვინახავს; ღვინობისთვის 31-ს მცირედი თოვლი მოვიდა და შესამჩნევად აცივდა; ახლა ამან დააფთხო საწყალი გულ-გატეხილი ხალხი და აქეთ-იქით ეცა სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის. საჭმლის სისუსტისა გამო ბევრმა საქონელი ტყეშივე გარეკა; ღორი ტყეებიდამ შინ დაბრუნდა; ალბათ ნოტიოს მიზეზი იყო—მსხვილ-ფეხ საქონელს გაუჩნდა თურქული ფეხებში და პირში; ერთისა და მეორის მიზეზით ხალხი სახნავად მინდორში ველარ გავიდა და ბევრი აქამომდეც უხნავია; ერთის სიტყვით ეს წელიწადი ყველაფერით ფუქსავატათ მიდის და ტყუილადაც არ გამოუთქო ხალხმა—ეს წელიწადი გაბერწდაო. ამ ნაირი ამინდების ბრალია, თუ რაღაცა, წლეულ ქურდობაც ცეცხლივით მოედო მთელს ხეობას. ცხენები გაათავეს, ძროხებზედ მიდგა საქმე და იმეებსაც რომ მორჩებიან, ვაი კრუხ-წიწილის ბრალი გარეთ და, რა თქმა უნდა, მერე შიგნითაც შამოწევენ; ქათამ-ინდაურის ქურდობა ქისტ-კაცს აქამდე სირცხვილადაც მიაჩნდა, რადგანაც ეს იმას ვაჟკაცობად არ მიაჩნდა და ეხლა იმისიც აღარა სცხვენიან. დილა გათენდება და ვინ ხარსა სჩივის, ვინ ძროხასა, ვინ ხბოებს, ვინ ცხვრებს, თხებს, ინდაურებს და სხვა. გადაუდით იქვე ალაზნის პირზედ, ჰხოცავენ და იქვე ინაწილებენ. ამ უბედურობის წამალი ვე
ჯამაგირიანმა მამასახლისებმა [illegible] დადეს
ვერც სხვა მთავრობის დაწესებულებამ
ეხლა, როგორც ლაპარაკობენ, ხალ
განზრახვა აქვს, ისევ თვითონ უშველ
თავის თავსა. ჰსურთ ყოველ-წლივ შ
რიბონ ცხენზედ თითო აბაზი, ძროხაზ
10 კ. და წვრილ-ფეხ საქონელზედ 5
ამოირჩიონ ყარაულები და იმათ გა
წესონ ეს ჯამაგირი, იმ პირობით, რ
თუ ასე სასაცილოდ დაიკარგა რამე,
ყარაულებმა უზღონ პატრონს: დაადგ
ნონ ამაზედ განაჩენი და სთხოვონ გ
ბერნატორს დამტკიცება. ეს აზრი, ჩ
ნის ფიქრით, უთუოდ კარგი უნდა იყო
თუ ყველამ იკისრა და მთავრობამაც ხ
ლი შეუწყო.

ამას წინათ ჩვენ ნათქვამი გვქონდ
რომ პირიქითულმა ქისტებმა ქურც
გოგნელაშვილს საქონელი გასტაცეს
სულამდე. მეორე დღეს, როცა ქისტ
სამშვიდობოშიაც გავიდოდნენ, ყაჩაღ
გამოეკიდა ს. ახმეტის „ურიადნიკი" ორ
ჩაფრით; თან გაიყოლია აგრეთვე სო
ლის მწერალი და ჯოყოლოელი ნაც
ლი იდა ბორჩაშვილი. მაღლა, ნაქერლ
იალალზედ რომ ასულიყვნენ, დაჰლა
ბოდათ, იქვე არეოდათ გზა და ო
ცხენი—ერთი ჩაფრისა და მეორეც ნა
ლისა, კლდეზედ გადავარდნოდათ და ა
ჩამობრძანდნენ მეორე დღეს.

ამ თვის 16 ღამით, ასე 2 საათზ
სოფლის კანცელარიის ოთახს, რომე
შიაც სოფლის მწერალს და მამასახლი
ეძინათ, ვიღაც ბოროტ-გამზრახველ
ბერდანის თოფები დაუშინეს; ფანჯარა
თან ნაწოლს მწერალს თავიდან ორ ვე
შოკზედ მაღლა დასცდენოდა ტყვი
ხოლო მეორე მხარეს ნაწოლს მამას
ლისს—6 ვერშოკზედ მუხლებში, მწ
ლისთვის ნასროლი თოფი ისე ახლ
იყო მიტანილი ფანჯარაზედ, რომ შუ
ჩარჩო თოფის ბოლს გაეშავებინა; ორი
ტყვიას კედელი გაეგლიჯა და, ალბა
იქით დანაწილდნენ, რომ მეორე ოთა
ში ზოგს საწერი სტოლის ორივე ძირი
თვის გაევლო და კიდე კედელში შეს
ლიყო, ზოგსაც ისევ შუშები გაემტვრი
ნა სამგან და კარში გავარდნილიყო. არ
ერთს მათგანს თოფი არა ჰქონიყო, რ
გამო შიშით კარში ვერ გამოსულიყვნენ
თუმცა-კი ორივენი უვნებლად გადარ
ნენ. მეორეს დღეს მამასახლისმა ეს ო
ვის ადგილას აცნობა.

ქისტი-ჩობანი

ს. ახალდაბა (გორის მაზრა).
სოფელი გაშენებულია მტკვრის პირა
ბორჯომის ხეობის შესავალში და განთ
ქმულია სუფთა ჰაერითა და კარგ
წყლებით, რის გამოც ზაფხულობით ბლო
მად ეტანებიან მოაგარაკენი. სოფლელ
ყურადღებას იქცევენ ყველაზე მეტ
ტად ცრუმორწმუნოებით, რომელს
აქ შესაფერი ნიადაგი მოუპოვებია. აქ
ურებს ღრმად სწამთ, რომ თუ ქალ
აღდგომას ეკკლესიაში შევიდა, უთო
სეტყვა მოვა. ამ ბოლო დროს კიდ
ერთმა ახალმა ცრუმორწმუნოებამ იჩი
თავი: 29 ივლისს აქაურმა მღვდელ
გლეხების რჩევით მკვდარი არ შეასვენ
ბინა ახლად აგებულ ეკლესიაში. როდ
საც მღვდელმა ასეთი ბრძნული განკა
გულება გასცა, ხელმძღვანელობდა
აზრით, რომ ახლად აგებულ ეკკლესია
კარგი არ არის მკვდრის შეტანა, რა
გან დაბედება იცისო, ჯვარის წერა
შეიძლებაო. მკვდარს მღვდელმა სახლ
აუგო ანდერძი. რაღა უშავს იმ ერ
რომელსაც ასეთი მღვდლები ჰყავს.

სახუტაა.

რუსეთი

პეტერბურგის გაზეთები გვატყობინ
ბენ, რომ უწმინდეს სინოდის ობერ-პრ
კურორი კ. პ. პობედონოსცევი ავადმყ
ფობით ისე დაუძლურდა, რომ სახელმწ
ფო საქმეებში არავითარ მონაწილეობ
აღარ იღებსო. (რ. ვ.).

— ხმა დადის, ვითომც ვიტტე ამ ც
ტა ხანში პოლიტიკურ მოღვაწეობ
თავს ანებებსო. აქამდისინაც უნდა დ
ნებებინა, მაგრამ მინდობილი ჰქონ
რთული სახელმწიფო საქმეებიო. (რ. ვ

— ბაიკალის რკინის გზის გამგეო
რომელსაც ჩაჰბარდა ბაიკალის გარე
რკინის გზის ლიანდაგი, აცხადებს, რ
მას არ შეუძლიან იდვას თავზედ სახა
ხო მატარებლების თავისუფალი მიმო
ვლა, რადგან ამას ხელს უშლის მრა
ლი დაბრკოლება. ლიანდაგის გასინჯვ

ის ალმოჩნდა, რომ გვირაბების თაი- ზოგგან დამსკდარი, დროებით გაკე- ული ხის ხიდები შეკეთებას თხოუ- ბს, ზოგიერთი შენობები სრულიად რგისია და სხვა. ამიტომ გამგეობა რულობს დიდ სისხს, რომ ხელ-ახლად კეთოს ის, რაც არ დაუთავებიათ და დად გაუკეთებიათ. (რ. ვ.).

— იმ კომისიის თავმჯდომარემ, რო- საც მინდობილი აქვს გამოარკვიოს მათა საკითხი, სახელმწიფო საბჭოს რმა ნ. ვ. შიდლოვსკიმ, მიიღო მუ- შებისაგან არჩეული დეპუტაცია, რომელ- ც ოთხი კაცი შეადგენდა.

დეპუტაციამ სთხოვა თავმჯდომარეს, მ ნება მიეცეს მუშებისაგან თავისუფ- ად ამორჩეულ დეპუტატებს დაესწრონ მისიაში, ამას გარდა სთხოვა, რომ გიერთ ქარხნებს მიეცეს წინადადება, აუხადონ მუშებს თუ სულ არა, ნახე- რი მაინც იმ ქირისა, რომელიც მათ ჰგებათ მუშაობის შეჩერების მთელის რის განმავლობაში. შიდლოვსკიმ ასუხა დეპუტაციას, რომ კომისია თუოდ მოიწვევს მუშებისაგან ამორჩეულ პუტატებს, როგორც კი შეუდგება მეების განხილვას. რაც შეეხება იმას, მ ქარხნებმა ფული დაურიგოს მუშებს, იდლოვსკიმ სთქვა, რომ ამ საკითხის არჩევა მას არ შეუძლიან და ურჩია დე- უტაციას ამ თხოვნით მიმართოს ფინანს- მინისტრს. (რ. ვ.).

— ვარშავიდგან ატყობინებენ «ეკო დე რის», რომ მექარხნეები და მუშები შე- ნხმდნენ და დააწესეს შემდეგი: 9 საა- ს მუშაობის დღე, დღიურ ფასის მო- ტება 10, 15 და 20 კ. და უმცირესი სი—75 კ. (რ. ვ.).

— ლიტერატორთა ფონდის წლიურ ებაზედ ვ. გ. კოროლენკომ წინადადება სცა კრებას იშუამდგომლონ და იზრუ- ონ რამე რუსეთის მწერლების გორკისა, შეხონოვისა, გურევიჩისაა და სოლომი- ს ბედ-იღბალზედ. კოროლენკომ სთქვა, რკი და პეშეხონოვი ავად არიან და თი მდგომარეობა საშიშიაო.

კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადა- ბა. (რ. ვ.).

— პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ქტორს უცნობებია სტუდენტებისთვის, რომ მას შეუტანია განცხადება უწმინდეს ინოდში, რომ სწავლა შეჩერდეს 7 მარ- ტამდის და ყველა სტუდენტი, უნდათ თუ არ უნდათ, სახლში უნდა დაბრუნ- დნენ. (რ. ვ.).

— რადგანაც სახალინის კუნძულზედ კა- ტორღის გაუქმება თითქმის გარდაწყვე- ილია, იუსტიციის სამინისტროში შეს- გა კომისია. რომელმაც უნდა მსჯელო- ს იქონიოს საზოგადოდ კატორღის მოს- ობაზედ და იმაზედ, თუ რა სასჯე- ლით შეიძლება მისი შეცვლა. (ვარ. დნ.).

— გაზეთ „ვარშავ. დ.“-ში სწერია: ი იანვარს საღამოს 6 საათზედ, სოსნო- იცში, „ეკატერინეს“ ქარხანაში შეიკრი- ბა გუნდი მუშებისა და ქარხნის ალაყა- ფის კარების დამტვრევას ლამობდა, ამა- თან ერთად რევოლვერებს ესროდნენ ტირსკის პოლკის როტას. ერთი მუშა ბით ხელში ეცა მეორე როტის უფ- ოსს, რომელიც თავის როტით ცოტა მოშორებით იდგა. ჯარმა იარაღი იხმარა; მოკლულია 21 კაცი და დაჭრილია 20, ამის შემდეგ გუნდი გაიფანტა. (რ. ვ.).

— „რუსკია ვედომოსტში“ დაბეჭდილია ანცხადება მოსკოვის ქალებისა. განცხა- ებაში ჩამოთვლილია ყველა ის უბედუ- ებანი, რომელიც ამ ბოლოს დროს და- უდა რუსეთს.—„ათასი ქალი—სწერენ ოსკოვის ქალები,—ჰგლოვობს უდროოდ აოცხლეს გამოსალმებულთ, ზოგი შვილს, ზოგი ძმას, ზოგი მამას, რომლე- ც იხოცებიან უცხო ქვეყნის მინდვრებ- ზედ, უცხო ზღვის ზვირთებში. ოჯახები ხოსობით ილუპება, რჩება უსავანოდ, ლუკმა-პუროდ. მრავალ ათას ქალის ული იტანჯება საყვარელის არსების სი- ვდილის გაგონებაზედ, ან არა და იმის ლოდინით შიშით გული ელევა. ეს ბედურება არ გვაკმარეს, პეტერბურგში მოხდარი ამბები, რომელმაც შეაძრწუნა თელი ქვეყანა, თვალ-წინ გვიდგა. რუ- ის ქალი მუდამ შიშშია, დღეს თუ ხვალ მოელის თავის ქმარ-შვილის სიკვდილს. ეიძლება ამ ცოტა ხანში— სწერენ ბო- ლოს მოსკოველი ქალები—მოხდეს ახალი აზარლესი ამბები. ჩვენ ვემუდარებით ომათ, ვისაც შეუძლიან, ეს ამბები მო- ონ, ხალხი დაამშვიდონ, გვაკმაროს ამ- ენი ტანჯვა, ტირილი და გლოვა“.

ამ განცხადებაზედ ხელი აქვს მოწერილი 468 ქალს. (რ. ვ.).

— დღეს, 10 თებერვალს, მოსკოვის სამოსამართლო პალატა წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩევს ტულაში 18 პოლიტიკურ დამნაშავის საქმეს, რომელნიც მუშათა სოციალ-დემოკრატიულ დასს ეკუთვნიან. ამ საქმეზედ დაბარებულია 52 მოწმე. („ნ. დ.“).

— ხარკოვიდგან იუწყებიან, რომ საპეითალო ინსტიტუტის 900 სტუდენტიდგან მხოლოდ 30 სტუდენტმა განაცხადა სწავლის ვაგრძელების სურვილი. („ნ. დ.“).

— მოსკოვის საგუბერნიო საკრებულოს მოსკოვის ქალაქის უფროსის თავმჯდომარეობით ამ დღეებში უნდა გაერჩია საქმე მოსკოვის ქალაქის მოურავის თავ. ვ. მ. გოლიცინის პასუხის-გებაში მიცემის შესახებ. თავ. გოლიცინს ისა ჰბრალდება, რომ 30 გიორგობისთვეს მოსკოვის ქალაქის საბჭოს კრებაზედ ნება დართო იმისთანა საგნების გარჩევისა, რაც ქალაქის საქმეებს არ შეეხებოდა. შედეგი ჯერ არ ვიცით. («რ. ვ.»).

— 31 იანვარს ჩეშერის ქარხნის მუშების დეპუტაციას თავის ხელით მიურთმევია ფინანსთა მინისტრისთვის თხოვნა, რომელშიაც ნათლად დაუსურათებიათ თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა. მუშები, სხვათა შორის, სწერენ: „თქვენს ხელთ არის დიდი უფლება და ძალა, და თუ მოინდომებთ, ტანჯვისაგან დაიხსნით 1,300 კაცს. თუ მუშებს არ მიეცით ნება ერთად შეკრებისა, შეერთებისა, გაფიცვისა, არ მიეცით თავისუფალი სიტყვა, პიროვნებისა და ქონების ხელუხლებლობა, სხვა ვერაფერი ჩვენს მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს და ვერც დაგვამშვიდებს“. სხვათა შორის, მუშები თხოულობენ, რომ მიეცეთ ფული მომხდარ გაფიცვის დროს გაცდენილ დღეებისა, სამუშაო დღის დაკლებას და დღიურ ფასის მომატებას: კაცებისთვის 1 მან. და ქალებისთვის—70 კ., ჯარიმების გაუქმებას და სხვ. მინისტრს წაუკითხავს თხოვნა და დაჰპირებია,—მუშათა საჭიროების გამოსარკვევად შემდგარ კომისიის თავმჯდომარეს შიდლოვსკის გადავსცემო. („ნ. დ.“).

— 31 იანვარს პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის დირექტორს ნება დაურთავს სტუდენტებისთვის კრების გამართვისა. ყველა სტუდენტი, ვინც-კი იმ დროს პეტერბურგში ყოფილან, რიცხვით 275 კაცი, შეკრებილა ინსტიტუტში. კრებას ერთხმად დაუდგენია შესწყვიტოს სწავლა ინსტიტუტში, სანამ ყველაფერი არ დამშვიდდება. სწავლა შეწყვეტილ იქმნება 1-ლ სექტემბრამდე. სხვათა შორის, გადაუწყვეტიათ წერილებით შეეკითხნენ იმ ამხანაგებსაც, რომელნიც კრებას არ დასწრებიან. ამ აზრით ამოურჩევიათ კომისია, 12 კაცისაგან შემდგარი, თითოეულ კურსიდგან სამი სტუდენტი. („ნ. დ.“).

ნარკვევი

გაზეთი „ნ. დ.“ დიდ მნიშვნელობას არ აძლევს „საერო კრებას“, რომლის მოწვევის შესახებაც ხმები იყო. რომ მართლა ძირეული რეფორმები ნდომოდათ, ყველაზე ადრე გაძლიერებულ დაცვის წესს მოსპობდნენ, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას და პიროვნების ხელშეუხებლობას აღიარებდნენო.

* * *

რა კავშირი უნდა ჰქონდეს,—ამბობს გაზეთი,—მომავალ „საერო კრებას“ ხალხთან, როცა გაძლიერებულ დაცვის წესრიგი მუხრუჭს უჭერს მთელ რუსეთს, როდესაც ადმინისტრაციის ძალა და უფლება ემატება, როდესაც პრესსა უწინდებურადვე დამოკიდებულია ადმინისტრაციის თვითნებობაზე.

გაზეთ „რუსში“ ვკითხულობთ:

ჯერ არასოდეს არ ყოფილა ჩვენი მაღალი სასწავლებლები ასეთს კრიტიკულ მდგომარეობაში, როგორც ახლაა. ყველა უნივერსიტეტები და ინსტიტუტები დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიხურა და დღესაც არ გაუღიათ მისი კარები. ასე გასინჯეთ, ისეთ წყნარ ინსტიტუტებშიაცკი, როგორც საფილოლოგიო ინსტიტუტები პეტერბურგისა და ნეჟინისა, სადაც საქალებო ინსტიტუტისებური დისციპლინა იყო დამკვიდრებული, შესწყდა სწავლა. მთელი ორი თვე გადის, რაც საპროფესორო კათედრები დაცარიელდა და, ვინ იცის, როდის გაიგონებენ ამ კათედრებზე კვლავ ცოცხალ სიტყვას“.

გაზეთის აზრით, საჭიროა დაუყოვნებლივ დაინიშნოს კომისია, რომლის წევრებადაც უნდა იქმნენ პროფესორები და სტუდენტები და რომელმაც უნდა შეიმუშავოს საჭიროებანი და ცვლილებანი მომავალის საუნივერსიტეტო წესდებისათვის.

* * *

გაზეთი „პრავო“ (30 იანვრისა № 4) აღნიშნავს, რომ ახლანდელი ბიუროკრატია რუსეთისა ეწინააღმდეგება როგორც სახალხო, აგრეთვე უმაღლესს განათლებას; უნივერსიტეტებს ზედამხედველად დაუყენა მან არა მარტო საუნივერსიტეტო ადმინისტრაცია, არამედ პოლიციაც. განდევნა საშუალო სასწავლებლებში ბუნებისმეტყველება, როგორც „არა-კეთილ საიმედო“ საგანი; ათასი შევიწროება მიაყენა დაბალ სასწავლებლებს, სახალხო წიგნთ-საცავებს, საჯარო კითხვებს (ლექციებს), რადგან ყველა ეს დაწესებულებანი მიაჩნია საშიშრად ხალხში ახალის აზრების გავრცელების მხრივ; ხელს უშლის განათლებულის საზოგადოების (ინტელიგენციის) და ხალხის ერთმანეთთან დაახლოვებას, რომ ხალხმა „მავნებელი“ აზრები არ შეითვისოს; ეს შიში ბიუროკრატიისა იქამდის მიდის, რომ როცა შიმშილობის დროს სახალხო სასადილოებში ვინმე ადმინისტრაციის ნება-დაურთველად მოიტანდა საჭმელს, პოლიციელები იმავე წამს გადაჰფენდნენ; ბიუროკრატიამ შეჰბუთა ერობანი სხვა-და-სხვა შევიწროებით, უფლების ჩამორთმევით; წაართვა დამოუკიდებლობა სასამართლოს, დაიმორჩილა მსაჯულები, დახურა სასამართლოს კარები; თითქმის შეუძლებელი გახადა სისხლის-სამართალში მიცემა დამნაშავე მოხელეებისა; გლეხს არა აქვს უფლება თავისუფლად წაიღოს სადმე; არავინ არ არის უზრუნველ-ყოფილი, რომ სრულიად უდანაშაულოდ არ იქმნება გამოცხადებული „საეჭვო“ კაცად დატუსაღებული, გაგზავნილი, გასაწყლებული, დაღუპული. დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ ბიუროკრატიას ამ შევიწროებათა განსახორციელებლად მით მეტი სისასტიკე ეჭირება, რაც უფრო შეგნებული აქვს საზოგადოებას საჭიროება რეფორმებისა. ბიუროკრატიამ თავის დასაფარავად ძალაუნებურად უნდა მიჰმართოს შეშინებას, გადასახლებას, საპყრობილეს, სიკვდილით დასჯას. მაგრამაო,—განაგრძობს გაზეთი,

„განვითარებული საზოგადოება ვეღარ აიტანს შევიწროებას; რაზედაც უწინ ხმას არ იღებდა საზოგადოება, ყველაფერს ამას დღეს ვეღარ ითმენს...

„ბიუროკრატიის დასაფარავად და საზოგადოების შესაშინებლად საჭიროა ისეთი მძიმე შევიწროება, ისეთი სისასტიკე, რომელიც შეჰქმნის საზოგადოებას თვითმპყრობელ ბიუროკრატიის შეურიგებელ მტრად“.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ქუთაისი. ქუთაისის ქართულმა დრამატიულმა დასმა მესამედ წარმოადგინა „ახალი მოძღვრება“.

მარკის როლს ასრულებდა ვ. მესხიშვილი და დიდის ხელოვნებით ჩაატარა; განსაკუთრებით მეხუთე მოქმედებაში, როდესაც მარკი სიყვარულს უცხადებს მერციას, მაგრამ მერცია არ თანაუგრძნობს მის სიყვარულს; მარკს ძალით უნდა მისი დამორჩილება. როგორც მესხიშვილმა, ისე დავითიშვილისამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებლებზე. ნერონის როლში მშვენიერი იყო ქ. მესხი, რომელმაც ნამდვილი სურათი გადმოგვცა დესპოტ იმპერატორისა, ავტორსაც კარგად აქვს დახასიათებული ეს პირი. ქ. დავითაშვილისა შეუდარებელი იყო მერციას როლში; მისი ყოველი სიტყვა სულსა და გულს გვიხუთავდა.

კარგი ლუსცინიოსი იყო გვარაძე, რომელმაც მეტის-მეტის გრძნობითა და სინამდვილით ჩაატარა თავისი როლი. სხვა მოთამაშეთა შორის აღსანიშნავია ნ. ზარდალიშვილი, რომელმაც დიდი ნაბიჯი წარსდგა წელს წინ.

თვით პიესა ახალს არაფერს წარმოადგენს. შეგვიძლია ამ დრამას დავარქვათ მხოლოდ სურათი პირველ ქრისტეანთა მდგომარეობისა რომის იმპერიაში; სხვა არაფერი განზრახვა არა ჰქონია ავტორს. პიესის სული და გული მხოლოდ მარკი და მერციაა. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ საზოგადოება ქანდარაზე ძლიერ ცუდათ იქცევა; მათ ხმაურობასა და შენიშვნებს ბოლო არ აქვს და პიესის ერთი მესამედი მოუსმენელი გვრჩება. თუმცა პიესა მესამედ არის დადგმული, მაგრამ საზოგადოება საკმარისად დაესწრო.

№ 13.

კიდევ ოქონის ხატის შესახებ

(პასუხად ბ. ალექსეევ-მესხიევს).

არ იქმნა, არ დაანება თავი ბ. ალექსი-მესხიშვილმა კუდ-მოკლე, უბირ თავის მართლებას, რომ შავი თეთრად დაანახვოს ქვეყანას. ტყუილად სცხაროსით და წიწმატობთ, ბ. მესხიშვილო, მაგისთანა ალაყ-მალაყით ფონს ვერ გახვალთ, რადგანაც „ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს“. ღმერთი, რჯული, ა. ნატროშვილს თქვენს საქმეში არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, «რაც მოგივა დაითაო, ყველა შენი თავითაო“, ნათქვამია. «ერიდენით, ამბობს ბოსსიუეტი, და უფრთხილდით საკუთარს ზნესა, ზნე იმისთანა მტერია, რომელიც ყველგან თან დასდევს კაცსა, სიკვდილის კარამდინაო». კაცო, ძმაო, რა ღობე-ყურეს მოედევი. „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“! მგელს სცემდნენ და იგი ხალხს თავს აბრალებდა: „მე რა ვქნა, რომ მურა ვარო»? შე ოხერო, იმიტომ კი არა გცემთ, რომ მურა ხარ, ბატკნებს რად გვტაცებ, ცხვრებს დუმას რად აკვნეტავ, სხვისა საკუთრებაზედ თვალი რადა გაქვს გაჰყეტილიო?!. საკვირველია, ღმერთმანი: ბ. მესხიშვილს ეუბნებიან, წარმოადგინე საბუთი, რომ ოქონის ხატი ნაჩუქარი გაქვს და არა გარდმოცემულიო, ხოლო ეს მოჰყოლია და სწერს: „ნატროშვილი და ნატროევი ერთი არის, თუ ორი სხვა და სხვა ავქსონიო“. მაგრამ დავანებოთ თავი ამას, და ეახე უმანკოებას შებღალულს, ქონდრის კაცებს, მსჯავრის დამდებთ პატიოსანს გერაკლიზედაო! „ავტორ ნატროევის, რუსულად ნაწერის, სიტყვით, განაგრძობს ბ. მესხიშვილი, ოქონის ხატი ჯვარცმისაა, ხოლო ნატროშვილის, ქართულად ნაწერისა,— ღვთის მშობლისაა“. რომელ ერთს მათგანს დაუჯეროს მკითხველმა, გაკვირვებით კითხულობს ბ. მესხიშვილი, ბ. ან. ნატროევს თუ ა. ნატროშვილს. ცხადია, ამ ორში ერთი უნდა სცდებოდეს. მე შემიძლიან დავაკმაყოფილო მკითხველის სურვილი და მოვახსენო: ბ. ა. ნატროევი მართალია—ოქონის ხატი ჯვარცმისაა და არა ღვთის-მშობლისა“. შემცდარი ბრძანდებით, ბ. მესხიშვილო! ოქონის ხატი ისტორიაში ცნობილია, როგორც ღვთის-მშობლისა, მხოლოდ თუ გნებავთ, ორივე არის: ღვთის-მშობლისაც და ჯვარ-ცმისაც. ღვთის-მშობელი ორ გვარად იხატება: ჩვილის ყრმით—მაცხოვრით ხელში და ჯვარცმულის ქრისტეთი. გასინჯეთ ოქონის ხატი და დარწმუნდებით, რომ აქ არის დახატული დედა მღვთისა და გვერდზედ ანუ უკედ მაგაზედ ჯვარცმული ქრისტე. ახლა თქვენ გკითხავთ, ბ. ალ. მესხიშვილო, მაშ როგორ უნდა დაეხატა მხატვარს დედა მღვთისა ჯვარ-ცმულ ქრისტეთი, კალთაში ხომ არ ჩაუსვამდა ღვთის-მშობელს ჯვარზედ გაკრულს ქრისტე-მაცხოვარს?! ხოლო რომ ოქონის ხატი ცნობილია ისტორიაში, როგორც ღვთის-მშობლის ხატი, ნახე ამაზედ ბ. ბაქრაძის „Кавказъ въ археологическомъ отношеніи»,გ. 118; ვახუშტის „საქართველოს ისტორია“—გამოცემა გ. ქართველიშვილისა, გვ. 150—151, შენიშვნით; Головинъ „Историческое обозрѣніе Грузіи“ გვ. 57; თაყაიშვილი, გაზ. «Кавказъ» № 22— 1905 «въ археологическомъ обществѣ» და სხვ. ოქონის ხატით არის დალოცვილი მეფე ბაგრატ IV და მისი მეუღლე ელენე—საბერძნეთის მეფის რომან აგსირის ძმის ბასილის ასული, ხოლო მეფე-დედოფალთ, როგორც ვიცით, ლოცავენ მუდამ მღვთის-მშობლის ხატით.

აუხირებია და ათასჯერ იმეორებს ბ. ალ.-მესხიშვილი ერთსა და იმავე უმნიშვნელო, დახავსებულს საბუთს: რუსულად, ქართულად, თავში, ბოლოში, „რომ ოქონის ხატი აგერ ერთი წელიწადია თითქმის ამის (მესხიშვილის) სახლში ასვენია“. კარგი და პატიოსანი, თქვე დალოცვილის შვილო, გავიგეთ, მერე რა გინდათ დაამტკიცოთ მაგით? იყო და დაე იყოს ერთი წელიწადი და თუ ესეც საკმაო არ არის, აი ნატროშვილი ამბობს, რომ თქვენ ეს ხატი წელიწად ნახევარი გისვენიათ. ეს ხომ ცარიელი „ტიტინია, რომლის ათას კალოსა, ერთ ქრთილად არ ვიყიდი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამტკიცებლად ყალბ ადგილებისა ბ. ა. ნატროშვილის მიერ დაწერილის ნეკროლოგისას, სწერს ბ. ალ.-მესხიშვილი, მოვიყვანთ ფაქტებს, სინამდვილეს რომელთა დავამტკიცებ დიად ღირს რწმუნების მოწმობითა“.

გთხოვთ, გთხოვთ, ბ. ალ.—მესხიშვილო, წარმოადგინოთ ეს ფაქტები. აბა ყური დავუგდოთ, მართლა, რა უტყუარის საბუთებით ამტკიცებს ბ. ალექსი-მესხიშვილი, რომ ოქონის ხატი, ეს მეფე ბაგრატ IV მეუღლის ელენეს მზითვის ნივთი სიწმინდე მე-XI საუკუნისა,რომლის მითვისება და გასაკუთრება ამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ვერავინ ვერ გაბედა, მისს, მესხიშვილის, საკუთრებას შეადგენს. გისმენთ, ბ. მესხიშვილო, გისმენთ, ორივე ჩვენის ყურით.

«მიბოძა განსვენებულმა იღუმენიამ თითქმის ერთი წლის წინად თავის გარდაცვალებისა.» მოწმებად ამისა ბ-ნი მესხიშვილი ასახელებს ბბ-ნთ ნ. ზ. ცხვედაძეს, ე. ს. თაყაიშვილს, ფოტოგრაფს დ. ი. ერმაკოვს, და გრაფინია უვაროვისას. „როდესაც ნ. ზ ცხვეთაძემ გარდასცა იღუმენიას განზრახვა გრაფინია უვაროვის, რომ სურს ნახოს და გარდაიღოს ფოტოგრაფიით ეს საუნჯენი, სწერს მესხიშვილი,— მიიღო შემდეგი პასუხი: „ხატი და სახარება გარდავეცი ჩემს დისწულს ნიკოს, იმას აქვს, იმას მიმართეთო. იღუმენია ნინოს, რომ საჩუქრად არ ებოძებინა ეს საუნჯენი, მიუგებდა ბ-ნ ცხვეთაძეს: „მივაბარეო და არა გარდავეციო“. აი ამ „გარდავეცი-ზედ“ ამყარებს ბ. ალ.-მესხიშვილი მთლად ოქონის ხატის ჩუქებას და შემდეგ თამამად და რიხიანად განაგრძობს: «წარმოადგინეთ ჩემი ხელმოწერილი ბარათი, რომ მიბარებული მქონდა ეს ნივთები და ჩაიბარეთ იგინიო“. ხომ ხედავთ ეხლა, რა მაგარს უტყუარ საფუძველზედ ყოფილა აშენებული ბ. მესხიშვილისაგან საჩუქრად მიღებული ოქონის ხატის საქმე. «ცანი და ქვეყანანი წარჰვლენ, ხოლო მესხიშვილის საბუთნი არ დაირღვევიან არაოდეს». ბ-ნო ნიკოლოოზ იაკინთესძევ! განა პატიოსან კაცისაგან ბარათს მოითხოვს ვინმე? თუ რომ განსვენებული ნინო თქვენ უფრო მეტად გენდობოდათ, ვინემ სამთავროს მცხეთის ეკკლესიას, ტფილისის საეკკლესიო მუზეუმის საცავს, წერა-კითხვის საზოგადოებას, განა მოსაფიქრებელიღაა, რომ თქვენგან იმას ბარათი მოეთხოვნა! ჩვენ დიდის პატივისცემით და ნდობით მიგვიღია დასახელებული მოწამენი: ბ.ბ. ცხვეთაძე, თაყაიშვილი, ერმაკოვი, მაგრამ ვაჲ, რომ ესენი იოტის ტოლასაც ვერაფერში გიშველიან! ამათ შეუძლიანთ გიმოწმონ მხოლოდ ის, რომ ეს სიწმინდენი თქვენ გქონდათ მიღებული განსვენებულის თქვენის დედიდის იღუმენია ნინოსაგან მისს გარდაცვალებამდე ორი,-ხუთის თვის წინად. ამას ხომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენს საკამათო საგანში. აქ ის-კი არ არის საჭირო ვიცოდეთ, როდის გარდმოგეცათ ეს საუნჯენი დედა იღუმენიასაგან, საჭიროა გაცნობოთ, რა უფლებით გაქვთ ეს საუნჯენი ხელში, როგორც თქვენი საკუთრებანი, თუ შესანახად მობარებული სიწმინდენი. აი ამით, ამ უტყუარ საბუთის დასახელებითა და წამოყენებით უნდა დაგეწყოთ საქმე და არა ცუდ-უბრალო კინკლაობით და უმნიშვნელო საგნებზედ ბაას-ლაპარაკით.

სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ,— იტყვის საღმრთო წერილი. თქვენ თვითონ თქვენსავე წერილებში აღიარებთ, რომ ეს საუნჯენი გარდმოგეცათ დედა იღუმენია ნინოსაგან დასაცველად, შესანახად, რომ არ დაჰკარგოდა შთამომავლობას და სამშობლოს.

„ვშიშობ, შვილო, სწერთ თქვენ დედა იღუმენიას ნათქვამს, ვაჲ თუ ეს საუნჯენიც, მრავლად სხვა ჩვენის ქვეყნიდან გატაცებულ-გაფანტულ საუნჯეთა მსგავსად, სამუდამოდ დაეკარგოს ჩვენს სამშობლოს...ამიტომ, როდესაც გარდმომცა, დამაფიცა, რომ დამეცვა იგინი, როგორც სიწმინდენი ჩვენი სამშობლოსი“. მაშ, მე რაღა ვსთქვი, თქვე ღვთისაგან ნაკურთხის შვილო? ცეცხლი ვსთქვი და პირი არ დამწვავო. აი ჩემი სიტყვები: „ეს საუნჯენი გარდაეცა ბ. ნ. ი—ძეს შესანახად-მეთქი“. რაღას ჯავრობთ და ყოყლოჩინაობთ!

ხოლო რომ ეს ხატი თქვენ გაქვთ გარდმოცემული შესანახად და არა საჩუქრად —თქვენს საკუთრებად, როგორც გინდათ ისე დააჯერეთ ქვეყანა, აი ამის დასამტკიცე-

ბელნი საბუთნი, ჩვენგან შემოწმებულნი და განხილულნი.

საქართველო-იმერეთის სინოდალურს კანტორაში ინახება საქმე № 217-ით, დაწყობილი 26 თებერვლიდან 1902 წ. აბა ყური დაუგდეთ, ბ. ნ. ი. ალექსი-მესხიშვილო, რ. უტყუარს საბუთებს შეიცავს ეს დასამტკიცებლად იმისა, რომ თქვენგან სადავოდ გამოცხადებული ოქონის ხატი შეადგენს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის საკუთრებას. აღნიშნულის საქმის მე-15 გვერდზედ მოთავსებულია აქტი, რომლითაც დედა იღუმენია ნინოს მემკვიდრენი, თავადნი ამილახვარნი: ალექსანდრე, გრიგოლი, დავით და ბასილ, უარს ჰყოფენ რა მემკვიდრეობაზედ, განუცხადებენ ყ-დ უსამღვდელოესს ალექსის, საქართველოს ექსარხოსს, რომ ოქონის ხატი და ტყავზედ ნაგერი სახარება წადებული აქვს შესანახად ნიკოლოოზ იაკინთეს-ძეს ალექსი-მესხიშვილსაო“.

მე-18-ე ამავე საქმის გვერდზედ არის ჩაკერებული რაპორტი კომისიისა, სადაც, თანახმად სინოდ. კანტორის მოწერილობისა, ცნობაში მოყვანილია მთელი დედათა მონასტრის ქონება და შესახებ აღნიშნულის ნივთებისა ნათქვამია: „ხატი, სახელწოდებით ოქონისა, კარგად ცნობილი ყველა კომისიის წევრისაგან, ეგრეთვე ოქროთ მოვარაყული სახარება გადაცემული აქვს, როგორც დედა იღუმენიამ გამოგვიცხადა კომისიის წევრებს, მის ნათესავს ნიკოლოოზ იაკინთეს-ძეს მესხიევს, რომელიც სცხოვრობს ქ. ტფილისში, გრიბოედოვის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში. ახლა რაც შეეხება იმას, რომ ეს ხატი გარდაცემული აქვს იღუმენია ნინოსაგან ბ. ნ. ი. მესხიშვილს შესანახად და არა საჩუქრად და მის საკუთრებად, ამის დასამტკიცებელს მთავარს საბუთს წარმოადგენს საკუთარი დედა იღუმენია ნინოს წერილობითი მოხსენება, მოთავსებული ამავე საქმის 5—6 გვერდებზედ. საექსარხოსო კანცელარია, 29 თებერვლიდან 1802 წ., ეკითხება დედა იღუმენია ნინოს, თუ ვისგან, როდის და რა პირობებით აქვს მას მიღებული ოქონის ხატი? აი რას მოახსენებს 15 იანვრიდან 1902 წ. ამის შესახებ განსვენებული იღუმენია სამთავროს დედათა მონასტრის, დედა ნინო საქართველოს ექსარხოსს: „1888 წ., როდესაც მე ვიყავი ქ. მოსკოვში ფულის შესაგროვებლად სასარგებლოდ რწმუნებულის ჩემდამო დედათა მონასტრისა, რამდენჯერმე ვინახულე ჩემი ნათესავი, აწ განსვენებული, გრაფინია ანნა გიორგის ასული ტოლსტოისა, შთამომავლობით ასული გრუზინსკისა. ერთს ამ ჩემს ნახვის დროს, როდესაც გრაფინია ავათ იყო, მან უბრძანა მოეტანათ მისთვის აღნიშნული წმინდა ხატი, ემთხვივა მას და თვალ-ცრემლიანმა სთქვა: ეს ხატი მე შემიწირავს თქვენის მცხეთის დედათა მონასტრისთვის. მაგრამ, მანამ ცოცხალი ვარ, ეს დარჩება ჩემთან, ჩემის სიკვდილის შემდეგ-კი გამოგეგზავნებათ თქვენ და გთხოვთ დიდის თხოვნით, რომ მანამ ცოცხალი ხართ, იქონიოთ თქვენს წმინდა ხატებთან ერთად და ილოცოთ ჩემის სულის საოხად, ხოლო თქვენის სიკვდილის შემდეგ დასვენდეს ეს ხატი მონასტრის ეკკლესიაში შესაფერ ადგილას. ამის შემდეგ გრაფინიამ არა ერთხელ მიმიპატიჟა კიდევაც და ხშირად მიმეორებდა თავის თხოვნას. როდესაც დავაპირე მოსკოვიდან გამოსვლა, კიდევ ვინახულე გრაფინია, რომ გამოვთხოვებოდი, მაგრამ იგი ძალიან ავად იყო და მე შეუძლებლად ჩავთვალე მისი შეწუხება. გრაფინია შემდეგ ამისა მალე გარდაიცვალა და მისის სურვილისამებრ, მართლაც, წმ. ხატი იგი გამოგზავნილ იქმნა ტფილისს 1889 წ.—ამ მიზეზით მე დაბარებული ვიყავი ქალ. ტფილისში მცხეთიდან და ჩავიბარე ჩემის ბარათით ხატი ესე სიონის სობოროს კანდელაკის, აწ განსვენებულის დეკანოზის გრიგოლ პეტრიაშვილისაგან, თვით სიონის სობოროშივე. ამ დროიდან ხატი ესე მისვენია სხვა ჩემს წმ. ხატებთან ერთად ჩემს სადგომს ოთახში იმ პირობით, რომ შემდეგ ჩემის სიკვდილისა ხატი ეს გარდატანილ და დასვენებულ იქმნას რწმუნებულს ჩემდამი მონასტრის ეკკლესიაში, როგორც მისი აუცილებელი საკუთრება“.

ამის შემდეგ გკითხავთ თქვენ, ბ-ნო ნ. ი—ძევ ალ.-მესხიშვილო, შესაძლო იყო, რომ იმისთანა ღრმად მორწმუნე და ღვთის-მოსავს ადამიანს, როგორიც ბრძანდებოდა დედიდა თქვენი, იღუმენია ნინო, თუ კი, რასაკვირველია, მეხსიერება და გონება შერჩენილი ჰქონდა, დაერღვიენა ფიცი, მიცემული გრაფინია ანნა გიორგის ასულის ტოლსტოისათვის და ეკკლესიისათვის, და ეჩუქებინა თქვენთვის საკუთრებად ესეთი საგვარეულო სიწმინდე ქართველთ მეფეებისა, რომელსაც შეადგენს ოქონის ჯვარცმის ანუ ღვთისმშობლის ხატი?

თქვენ, ბ-ნო ნიკოლოოზ იაკინთეს ძევ, სჩივით და სამართლიანადაც ემდურებით ბედს, რომელიც ხვდა წილად ჩვენს საეკლესიო საუნჯეთ, ეროვნულს სიწმინდეთ და სიძველეთ და ამ ნაირად გინდათ დაიცვათ იგინი სამუდამო დაკარგვისა და გაფანტვისაგან.—ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და შეგასრულებინოთ წმინდათ ეგ თქვენი კეთილი და სასარგებლო ქვეყნისათვის სურვილი და დაპირება, მაგრამ მხოლოდ ერთი ეს ვერ შეგვიგნია, რისათვის გინდათ გარდაიქცეს თქვენს კერძო საკუთრებად სიწმინდე, რომელიც უნდა შეადგენდეს მთელი ქართველ ერის და ქვეყნის კუთვნილებას. „რათა ეს საუნჯენი, სწერთ თქვენ, არ იყვნენ სამუდამოდ დაკარგულნი ჩვენის სამშობლოსათვის, როგორათაც მრავალნი დაკარგულნი სხვა ჩვენი ძვირფასნი სიწმინდენი, ამის გამო იგინი დაცულნი იქმნებიან ჩემ-მიერ—ესვენებიან ჩემს სახლში». უკაცრავად გახლავართ, ბ-ნო ნიკოლოოზ იაკინთეს ძევ, მაგრამ განა თქვენს სახლში დასვენებულნი სიწმინდენი თქვენს კერძო საკუთრებას არ შეადგენენ? ქართული ანდაზაა: „თუნდ მკვდარი, თუნდ შინ მოუსვლელიო“.

ბოლოს, რაც შეეხება არქეოლოგიურს მნიშვნელობას და ღირებულებას ოქონის ხატისას, ამ მხრივ მისი განხილვა და დაფასება სჯობს დაეთმოს უფრო ჩვენზედ მცოდნეთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ხატი არის შემკული ქართველთ მეფეთაგან ძვირფასის თვალ-მარგალიტით და წარმოადგენს დიდ უმთავრესს განძს საქართველოს წარსულის დიდებისას *).

ა. ნატროშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 თებერვალი.

შანჰაი. რადგანაც სტესსელის-მიერ ციხის გადაცემის პირობაში მშვიდობიან მცხოვრებთა ინტერესები უყურადღებოდ იყო დატოვებული, პორტ-არტურში არავითარი ღონისძიებანი არ იყო მიღებული, როდესაც პორტ-არტურიდან დაიწყეს გამოსვლა და მხოლოდ ერთის თვის შემდეგ მიიღეს ბძანება შანჰაიდან ამ ღონისძიებათა შესახებ. დალნიში თავ-შეყრილ მშვიდობიან მოქალაქეთა და ტყვეთა ყოფა ცივ, ბინძურ და უვეჯო შენობაში, საშინელი სანახავი იყო. ნაგასაკში, სადაც გაგზავნილ იქმნენ მეომრები, მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა. შანჰაიში პავლოვისა, დესსინოსა, კონსულ კლეიმენოვისა და ადმირალ გრიგოროვის მონაწილეობით მუშაობს განსაკუთრებული კომისია, რომელიც შოულობს სახლებს და საჭმელს აქ მომავალი პორტ-არტურელებისათვის და აგზავნის მათ ადესაში. შანჰაი სავსეა ჩამოკონკილ რუსებით, რომელთაც სცხვენიათ დაენახონ უცხოელებს

იაპონელებმა გამოაქვეყნეს რაოდენობა პორტ-არტურში დამორჩილებულის ჯარისა, რომელიც დიდად აღემატება ციხის დანებების დროს გამოქვეყნებულს ცნობას.

პორტ-ლუისი. რუსეთის ესკადრის ყოფნის დროს ნოსსიბოში, რუსებმა აუარებელნი საგზალი შეიძინეს ფქვილისა და კარტოფილისა. ერთი კონტრ-ნაღმოსანი გემი და 6 ნახშირის მზიდველი გემი დგას კიდევ დიეგო-სუარეცში.

ლონდონი. გემი „პოვდერგმი“, როცა შანჰაიში მივიდა, დამზღვეველმა აგენტებმა შეაჩერეს, რადგან ფიქრობდენ, სჯობს გემს გადვუხადოთ ფული შეჩერებისათვის, ვიდრე გავგზავნოთ და გზაში იაპონელებმა დაიჭირონო. პატრონებმა დიდი ფული მოითხოვეს გემის გაჩერებაში, ამიტომ გემმა განაგრძო გზა და რამდენსამე დღეს შემდეგ ხელში ჩაუვარდა იაპონელებს. შეპყრობილია 11 სანახშირე გემი და 5-იც სხვა გემი. ამ გარემოებას მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ხმა მოდის მხოლოდ გემების შეპყრობის შესახებ და ცნობები არ არი იმის შესახებ, მივიდა ეს გემები თუ არა ვლადივოსტოკში დანიშნულებისამებრ. ამ გარემოებამ შეაშინა დამზღვეველნი.

ტოკიო. სამკურნალო ანგარიშთა თანახმად, იაპონელებს დაუკარგავსთ ხეიგოუტაიში 342 მოკლული, მათ შორის 82 აფიცერი, 8014 დაჭრილი, მათ შორის 271 აფიცერი, 525 ყინვით დამზრალს თავი დაუნებებია სამსახურისათვის, და თითქმის დაჭრილთა ნახევარი დაზიანებულა ყინვისაგან. ბევრი მეომარი მომკვდარა მით, რომ სისხლი გაყინვიათ ჭრილობის გარშემო, სანამ ჭრილობას შეუხვევდენ. ამბობენ, რომ რუსები კიდევ უარეს მდგომარეობაში არიან, რადგან იმათი დაჭრილები უფრო შორს უნდა წაიყვანონ ხოლმე.

პარიჟი. 7 თებერვალი. ლეიტენანტ ბერგს, რომელიც ცოცხალი გადარჩა აფეთქების შემდეგ, რომელმაც იმსხვერპლა გენერალი კონდრატენკო, უამბნია «ტანის» კორესპონდენტისათვის: მე მიმიწვიეს ტელეფონით ფორტ №2-ში; ყველა აფიცრები შეიკრიბნენ კაზემატში; ისინი მიესალმენ გენერალს და დალიეს მისი სადღეგრძელო. გენერალმა უპასუხა, სჯობს თქვენი თავის სადღეგრძელო დალიოთ; თქვა თუ არა ეს სიტყვები, იმ წამსვე მოხდა აფეთქება. ლეიტენანტ ბერგმა თქვა, რომ იაპონელებმა პორტ-არტურთან 60,000 კაცი დაკარგესო. მან სთქვა აგრეთვე, რომ გენერალმა ნოგიმ ბრძანება გასცა, ზარბაზნები ესროლათ იაპონელ ჯარისათვის, რომ ძალით მიეტანინებიათ იერიში.

კონსტანტინოპოლი, 7 თებერვალი (საკუთარი კორესპ.) ხონთქარმა უბოძა სტესსელს ოსმანიეს ორდენი ბრილლიანტებით, ქალბატონ სტესსელს შეფაკატეს ორდენი. ოფიცრებმა მიიღეს თათრული ორდენები.

თეოდოსია, 8 თებერვალი. გენერალი სტესსელი 9 თებერვალს მიდის პეტერბურგს; ყველა დანარჩენი ოფიცრები დროებით ჩაინიშნებიან ვილნოს რაზმში. რადგან თავისუფალი შენობები არ არის ქალაქში, მცხოვრებნი უთმობენ სტუმართ თავის სახლებს. ყველა მოსულები კარგად არიან, გარდა მძიმედ დაშავებულთა. ქალბატონ სტესსელს მიართვეს თაიგულები საქალაქო მმართველობამ, ვილნოს რაზმის ოფიცრებმა და წითელი ჯვრის კომიტეტმა, რომელიც სიტყვით მიესალმა. მიგებების შემდეგ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. გენერალი სტესსელი ოფიცრებითურთ წავიდა ოფიცერთა საკრებულოში. ქუჩებში გამოფენილია ხალხი, რომელიც ეგებებოდა პორტ-არტურელებს „ურას“ ძახილით. ოფიცერთა საკრებულოში გამართული იყო მათთვის საუზმე. სტესსელმა მიმართა ხალხს ამ სიტყვებით: სახელოვანი ქალაქის მოქალაქენო, თეოდოსიაში ჩვენ პირველად დავადგით ფეხი რუსეთის მიწაზედა, თქვენი მოგებება, თქვენი მშობლიური სიტყვა გულში ჩასწვდა ჩემს თანა-მებრძოლთ, პორტ-არტურის დამცველთ. დაბლა თავს გიკრავთ და კიდევ ერთხელ გმადლობთ».

პეტერბურგი. ოფიციალური. მინისტრთა კომიტეტმა 8 თებერვლის სხდომაზე ყველაზე უმალ მოისმინა განცხადება იმის შესახებ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, სტატს-სეკრატარ პობედონოსცევის მიერ უწმიდესი სინოდის დადგენილების უქვეშევრდომილესი მოხსენების შესახებ, უმოწყალესად ბძანა 28 იანვარს ამა წლისა, გაანთავისუფლონ სპასო-ეფთვიმის მონასტრიდგან გლეხები ერმოლაი თედოსეევი, ალექსი კალეჩინი, თედორე განჩევი, ეფთვიმე პოპოვი, კუზმა მომკოვი და მოქალაქე თედორე კოვალევი და სოლოვეცის მონასტრიდან გლეხი პეტრე ლეონტიევი. მერე კომიტეტმა განიხილა საკითხი, მიეცეს თუ არა მწვალებელ „სტაროობრიადების“ სასულიერო პირთ იწოდებოდენ სამღვდელო პირებად და დამრიგებლებად, აასრულონ მღვდელმოქმედება კერძო სახლებში, და საზოგადო ადგილებში, მაგალითად, დაიფიცონ მწვალებელნი, დალოცონ მომაკვდავნი სამკურნალოებში და სხ., ასწავლონ მწვალებელთა შვილებს სასწავლებლებში ღვთის-მეტყველება, თუ კი განსაზღვრული ცენზი ექნებათ განათლებისა, და შეადგინონ მეტრიკის წიგნები; აგრეთვე მიეცეს თუ არა მათ ნება, გახსნან თავისი შკოლები და დაბეჭდონ სხვა-და-სხვა გამოცემანი და გაუთანასწორონ თუ არა იგინი სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში სხვა ქრისტეანებს.

9 თებერვალი.

მოსკოვი, 8 თებერვალი. იაუზის სამკურნალოში მწოლარე მეეტლე დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძისა ანდრეი რუდინკინი, დაშავებული აფეთქების დროს, გარდაიცვალა რამდენსამე საათში ოპერაციის შემდეგ. რუდინკინი სათადარიგო უნტერ-ოფიცერი იყო, 43 წლისა, იყო მეფაიტონედ დიდ მთავართან 12 წელიწადი.

ტოკიო, 8 თებერვალი. რადგან ფიქრობენ, რომ იაპონელები ვლადივოსტოკისაკენ გაილაშქრებენ, რუსები ამაგრებენ მდინარე ტუმინის მანჯურიისკენ მდებარე ნაპირს. შახეზე ზარბაზნების უნაყოფო სროლა კიდევ არ შეწყვეტილა.

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი. მიღებულია კანონი, რომლის ძალითაც შეერთებული შტატების ფლოტის გასაძლიერებლად უნდა გადიდვას 99.914,350 დოლლარი.

ბერლინი, 8 თებერვალი. (საკუთარი კორრეს.) პოლკოვნიკი გედკე კიცხავს გრიპენბერგს დისციპლინის დარღვევისათვის. ასეთს საქციელს არავის არსად არ აპატიებდნენ.

მოსკოვი, 8 თებერვალი. მეეტლეს ანდრეის 70-ზე მეტი ჭრილობა აღმოაჩნდა.—მატარებლების მიმოსვლა მოსკოვსა და პეტერბურგს შორის შესწყდა.

ღამის დეპეშები.

9 თებერვალი.

პეტერბურგი. დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე 8 თებერვალს მოსკოვს წავიდა.

ლოძი. ელექტრონის გზის გამგეობამ დაადგინა გააუმჯობესონ მაშინისტების და კონდუქტორების ყოფა-მდგომარეობა, მოუმატოს ჯამაგირი და შეუმციროს სამუშაო დრო. გამგეობასთან აარსებენ კასას ავადმყოფთათვის. განზრახვა აქვთ დაბალ მოსამსახურე შვილებისათვის გამართონ პირველ-დაწყებითი სასწავლებელი.

ბერლინი. პრინცი პრუსიისა ლეოპოლდი 12 თებერვალს გენუით მიდის შორეულს აღმოსავლეთს.

ლონდონი. იაპონიის წყაროებიდან სჩანს, რომ რუსები ძალიან ემზადებიან. ლაბუტაის დიდს ზარბაზნებს ესვრიან. მთელს ფრონტზე სიმაგრეების შენება დასრულდა. ამ მზადებამ დააფიქრა ოიამა, რომელიც დიდს ომს ელის ადრე, ვინემ ეგონა იაპონიის სარდალსა.

ტოკიო. იუწყებიან, რომ კამიმურას ესკადრა რომელიღაც ალაგას არის ინდოეთის ოკეანეში. ზღვაზე დიდს ამბებს ელიან.

კოპენჰაგენი. გუშინ საღამოზე სკაგენს მოვიდა ბალტიის მესამე ესკადრა „ვლადიმირ მონომახის“ გარდა, რომელიც დარჩა სპროგოში, რადგანაც მაშინა გაუფუჭდა. აქ შეაკეთეს ცოტათი და დღეს კრეისერი შეუერთეს ესკადრას.

ლონდონი. ლივერპულში არჩევნების გამო ჩემბერლენმა ადგილობრივს მუშათა კონსერვატიულს ასოციაციას გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „მტკნარი სიცრუეა, ვითომ ჩემი პოლიტიკა მუშათათვის შიმშილით სიკვდილის მომასწავებელი იყოს. იგი ნიშნავს მუშაობის გაძლიერებას, სამუშაოს ფასის მომატებას, ის გააძლიერებს ვაჭრობას, იმას ბაზრებს და დააკავშირებს ინგლისს ახალშენებთან, საიდანაც ჩვენ ეხლა უცხოელნი გამოდევნას გვიპირებენ“.

ლონდონი. თიბეთელებს 500 ათასი გირვანქა სტერლინგი კონტრიბუცია, იონგხეზბანდის მიერ დადებულის პირობით, უნდა გადაეხადათ 75 წლის განმავლობაში, მაგრამ მთავრობამ სამი წლის ვადა მისცა. მინამ გადიხდიდნენ ჯარი ცზამბოს დაიჭერს. რადგანაც თიბეთისათვის ძნელია ამ ფულის გადახდა, საჭიროდ აღმოჩნდა გამოირკვეს შემდეგი საკითხი: რა ბედი მოელის ქვეყანას, თუ თიბეტის ხაზინა ვერ შესძლებს გადახდასაო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, ჯარმა იგლოვოს დიდის მთავრის სერგი ალექსანდრის ძის გარდაცვალება სამის თვით 4 მაისამდე.

შანჰაი, 6 თებერვალი. რუსები ჯერ იაპონიის შუბლს ესროდნენ, მერე დიდი დემონსტრაცია მოახდინეს.—თავადი უხტომსკი შანჰაიდან სან-ფრანცისკოს წავიდა. რაკი შახეზე ჯარი უმოქმედო არის, მოწყენილობა ჩამოვარდა. მალ შესანიშნავ ამბებს ელიან.

ვაშინგტონი. მცოდნე პირები ელიან, რომ მალე მოუხდებათ ტოგოს და როჟესტვენსკის ბრძოლაო. ამბობენ, ტოგო იცის, სადაც არის იმისი მოწინაამდეგ და მოუთმენლად ელის შემთხვევას, შეებრძოლოს იმას. იაპონელები ფიქრობენ, თუმცა, როგორც სწერავენ, როჟესტვენსკის უპირატესობას აძლევენ, მაგრამ იაპონიის ფლოტი მაინც სჯობიან რუსეთისას თავის ღირსებითაო. იაპონელნი რომ ივვიანებენ და არ მიდიან რუსის ესკადრის შესახვედრად, ეს იმითი აიხსნება, რომ გემებს მართავდნენ, ეხლა მშვენივრად გამოაწყეს და სრულიად მზად არიან საბრძოლველად; რუსის გემებს კითან და ძირზე ეკვრის ლოკოკინები, რისგამაც სიარული უბრკოლდებათ, ეს გარემოება ხელს შეუწყობს იაპონელებს და ჩქარა მივლენ. ამის გარდა იაპონელების ზარბაზნების ყუმბარა შორს მიდის და იმედი აქვთ ბრძოლის მოგებისა. შეიძლება, რომ რუსის ესკადრამ გზა გაიკვლიოს ვლადივოსტოკისაკენ, მაგრამ რუსები ხაფანგში მოემწყვდევიან, საიდანაც თავის დახსნა შეუძლებელი შეიქმნებაო.

ლონდონი. „სტანდარტის“ თანამშრომელი ებაასა გაიაშის ზავის შესახებ. ელჩი იმედი არა აქვს ადრე ზავის ჩამოგდებისა. იმის აზრით, რუსეთი წინადადებებს ვერ მისცემს ზავის ჩამოგდებაზე, ვინემ იმას ჰყავს უძლეველი ლაშქარი, მუკდენის სამხრეთად, და ვინემ მესამე ესკადრა ბალტიისა არ ეცდება როგორმე ჩაიგდოს ხელში ბატონობა ზღვაზე. გაიაში ფიქრობს, იაპონელები ომს განაგრძობენ, რუსებს განზრახვა აქვთ იბრძოლონ იქნამდე, ვინამ თვითვე არ გამოსთქვამენ სურვილს ზავის ჩამოგდებაზე. ყოველს შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ ზავზე მოლაპარაკება სხვის შუამავლობით არ მოხდებაო, თვით ეს ორი მებრძოლი სახელმწიფო გაათავებს ზავის საქმესაო.

დროებით რედაქტორი გრ ყიფშიძე
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები.

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის ქუჩა სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის ამსრულებელი ექიმი-ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავშესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში,—სახლი გოლდლუსტისა.

პეტერბურგის ბირჟა

8 თებერვალი 1905 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,2
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში „	46,3
პარიჟში	$37,67$
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{4}$—$6\frac{3}{4}$
4% სახელმწიფო რენტა	$99\frac{1}{2}$ ნ. გა
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკისა	$87\frac{3}{8}$ ნ. გა
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	400 წვ. გა
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	330 ნ. გა
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	272 წ. გა
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
$4\frac{1}{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის. გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

---

*) ამით ვათავებთ ამ საგანზედ ყოველსავე სჯაბაასს.

რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 9 февраля, 1905 г.

Типографія Т-ва „ТРУДЪ“, Фрейлинская № 5.